



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მერმეროე

მერმეროე (ბერძნ. Μερμερόης, შეა სპარს. Mihr-Mihrōē ან Mihrmāh-rōy) (გ. 554), ირანელი სარდალი. მისი ცხოვრების ადრეულ ხანაზე არაფერია ცნობილი. ბიზანტიული ავტორის აგათიას (VI ს.) ცნობით „იგი იყო უდიდესი გონების, სპრსელთა შორის გამოჩენილი, სამხედრო საქმეში გამოცდილი, ვაჟკაცური ხელის ადამიანი“. მ. პირველად 530 ირან-ბიზანტიის დაპირისპირებისას ჩნდება, როგორც ბიზანტიის სომხურ პროვინციებში შექრილი 30 000-კაციანი არმიის მეთაური. იგი დამარცხდა და იძულებული გახდა უკან დაეხია. 531 მ. მარტიროპოლისის ბიზანტიულთა სიმაგრის ასაღებად გაგზავნეს, მაგრამ დაბავება გადაწყდა და სპარსელებმა უკან დაიხიეს. 542 შაჰმა ხოსრო I-მა მ. ბიზანტიულთა ციხესიმაგრის, დარას ასაღებად გაგზავნა, მაგრამ დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა.

ბიზანტიულ ავტორთა ცნობებით, მ. 549-იდან ჩანს ეგრისში. იგი ეგრისი ბიზანტიულთა და ეგრისელთა მიერ ალყაშემორტყმული პეტრას ციხის დასახმარებლად წარგზავნილი ჭარის სარდლად დაინიშნა. აგათის თანახმად, ეგრისში მიმდინარე ომისას მ. იყო „ღრმად მოხუცი“ და ადრინდანვე ორივე ფეხით კოქლი, არ შეეძლო ცხენზე ჭდომა, თუმცა ჭალამბარზე მწოლი გამოჩენდებოდა ხოლმე და შიშის ზარს სცემდა მტრებს. მ-მ ეგრისში გვერდი აუარა ბიზანტიურ დაჯგუფებას და პეტრას ციხე ალყისაგან გაათავისუფლა, შემდეგ გარნიზონი 3000 ირანელი ჭარისკაცით გააძლიერა, მთელი სურსათი მეციხოვნებს დაუტოვა. თავად ეგრისში, რადგან ჭარის სურსათით მომარაგება გართულდა, 5000 ჭარისკაცი დატოვა, დანარჩენი 25 000 კაცით კი სომხეთში გადავიდა და დვინთან დაბანაკდა. მომდევნო წელს ეგრისელებმა და ბიზანტიულებმა ირანელების დატოვებული ლაშქარი გაანადგურეს. ბიზანტიულთა სარდალმა ბესამ პეტრას ალყა შემოარტყა. 551 გაგზავნებულზე მ. ხელახლა გაემართა პეტრას გასათავისუფლებლად, მაგრამ ბესამ ციხის აღება მის მისვლამდე შეძლო. მ. ეგრისის დედაქალაქის არქეოპოლისისაკენ

შემოტრიალდა. თავდაპირველად ფაზისის შესართავთან დაბანაკებული ბიზანტიულთა ძირითადი ჯარების განადგურება უნდოდა, მაგრამ ბიზანტიულები მდინარის მეორე მხარეს გადავიდნენ. ამის შემდეგ მ-მ არქეოპოლისს შემოარტყა ალფა, თუმცა ბიზანტიულები ციხიდან გამოიჭრნენ და ირანელებმა 4000 ჯარისკაცი, სამი სარდალი და 4 დროშა დაკარგეს. მ-მ „მუხურისის ქვეყნისკენ“ დაიხია, შეაკეთა ქუთაისის ციხე და საზამთროდ აქ დაბანაკდა. ამით ლეჩხუმსა და სვანეთთან შემაერთებელი გზები შეკრა და ქუთაისის მახლობლად მდებარე უქიმერიონის ციხეში გამაგრებული ეგრისელების სურსათით მომარაგებაც გაართულა.

552 მ-მ ეგრისის მეფე გუბაზს წერილი მისწერა და შაპის მორჩილება ურჩია. იმავდროულად ეგრისელთა სიმაგრეებს შეუტია, თუმცა ციხესთან, სადაც გუბაზი იყო შეთარებული, აგრეთვე წებელდის ციხესთან მარცხი განიცადა. 554 მ-მ თავი მოიავადმყოფა, მოადუნა ბიზანტიულთა ყურადღება და შეძლო მათი ჯარის უკუგდება ტელეფისის ციხიდან. მის განკარგულებაში არსებული ციხეები გაამაგრა და მოხირისში დაბრუნდა, სადაც ავად გახდა. 554 ზაფხულში ქართლში (მცხეთაში) გადავიდა და იქ გარდაიცვალა. იქვე დაკრძალეს მაზდეანური წესით.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებით, მ. ქართლ-ალბანეთის მარზპანის ფირან გუშნასპის ძმა იყო. გაქრისტიანებისათვის ფირანის სიკვდილით დასჭის (542) შემდეგ ხოსრო I-მა მ. ქართლ-ალბანეთის მარზპანად დანიშნა. ვ. გოილაძის მტკიცებით მ. და არვანდ გუშნასპი იდენტური პიროვნებები იყვნენ.

იხ. აგრეთვე [ეგრისის დიდი ომი 542-562](#) და პეტრის ბრძოლები.

წყარო: ა გ ა თ ი ა ს ქ თ ლ ა ს ტ ი კ თ ს ი , წგ.; გეორგიკა, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 3, თბ., 1936; პ რ თ კ თ პ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი , იქვე, ტ. 2, თბ., 1965.

ლიტ.: გ თ ი ლ ა ძ ე ვ., მარზპანთა ინსტიტუტი. უმეფობის ხანის (537-555 წწ.) ქართლ-ალბანეთის მარზპანები. ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი, 2014. №7; ლ ო მ თ უ რ ი ნ., ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1979.